სანქციებთან შესაბამისობა - მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის და მისი კომპონენტების უკანონო ტრანსპორტირების პრევენცია

პრაქტიკული რეკომენდაციები საქართველოს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორისთვის

თბილისი

2024

სტრატეგიის და განვითარების ცენტრი

სტრატეგიის და განვითარების ცენტრი ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრია, რომლის ღირებულებები თანასწორობის, თავისუფლების, პატივისცემის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპებს ეფუძნება. ჩვენი მიზანია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მხარდაჭერა, ქვეყნის ეფექტური და დემოკრატიული მმართველობის პრინციპების გაძლიერება, ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და საქართველოს მდგრადი განვითარებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა.

სტრატეგიის და განვითარების ცენტრი, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საფრთხის ერთობლივი შემცირების (CTR) ოფისის მხარდაჭერით, ახორციელებს ინიციატივებს, რომლის მიზანია გააძლიეროს საქართველოს შესაძლებლობები მაღალტექნოლოგიურ კონვენციურ იარაღთან დაკავშირებული საფრთხეების გამოვლენისა და მათზე რეაგირების მიმართულებით, გააუმჯობესოს სანქციებთან შესაბამისობის პროგრამები და ამ პროგრამების განხორციელების პროცესი.

პასუხისმგებლობის უარყოფა

წინამდებარე სახელმძღვანელო შედგენილია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არ ასახავს ან წარმოადგენს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრის (CSD) ან შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის შეხედულებებსა და მოსაზრებებს.

სარჩევი

აკრონიმები 01

წინასიტყვაობა და მიმოხილვა 02

დოკუმენტის კონტექსტი და მიზნები 04

- მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის და მისი კომპონენტების განსაზღვრება და მაგალითები 05
- ქართული კონტექსტი 10

კომპანიის მართვის მნიშვნელობა სანქციებისა და გაუვრცელებლობის პირობებში 10

- სანქციათა არსებული რეჟიმები 10
- სანქციებთან შეუსაბამობის შედეგები 11
- სანქციებთან შესაბამისობის გავლენა ლოგისტიკაზე 12

სანქციებთან შესაბამისობის საფუძვლები 13

- სანქციების ტიპები 13
- როგორ გამოვავლინოთ და ავიცილოთ სანქცირებული სუბიექტები 13
- „წითელი დროშების“ მართვა ბიზნესის წარმოებისას 14
- საზღვაო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული „წითელი დროშები“ 16

სანქციებთან შესაბამისობის სახელმძღვანელო მითითებების განხორციელება 18

- ტრანზაქციების დიაგრამა 20
- საკონტროლო სია რისკის შეფასებისთვის 21

პრაქტიკული ნაბიჯები სანქციებთან შესაბამისობისთვის 20

კომპლექსური აუდიტი და მონიტორინგი 22

თანამშრომელთა სწავლების ძირითადი მიმართულებები 25

დანართი 1 - სასარგებლო რესურსები სანქცირებული კომპანიების ან პირების გამოსავლენად 26

დანართი 2: „იცნობდე შენს კლიენტს“ და „იცნობდე შენი კლიენტის კლიენტს“ - საკონტროლო სია 28

აკრონიმები

ACSS	სანქციების სერტიფიცირებული სპეციალისტების ასოციაცია
ACW	მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღი
AEW&C	ადრეული შეტყობინება და კონტროლი
ATGMS	ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტები
BIS	მრეწველობისა და უსაფრთხოების ბიურო
CAATSA	ამერიკის მტრების წინააღმდეგ სანქციების საშუალებით ბრძოლის აქტი
CIS	დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ)
EAR	ექსპორტის ადმინისტრაციის რეგულაციები
ECCN	ექსპორტის კონტროლის კლასიფიკაციის ნომერი
EU	ევროკავშირი
KYC	იცნობდე შენს კლიენტს
KYCC	იცნობდე შენი კლიენტის კლიენტს
MANPADS	პორტატული საჰაერო თავდაცვის სისტემები
METI	იაპონიის ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო
OFAC	უცხოური აქტივების კონტროლის ოფისი
SDN	სპეციალური სტატუსის მქონე მოქალაქეები
STS	გემიდან გემზე
WMD	მასობრივი განადგურების იარაღი (მგი)

წინასიტყვაობა და მიმოხილვა

2022 წლიდან დღემდე, სტრატეგიის და განვითარების ცენტრმა (CSD) არაერთი ღონისძიება გაატარა მაღალტექნოლოგიურ კონვენციურ იარაღთან (ACW) დაკავშირებული უკანონო ტრანზაქციებისადმი საქართველოს ლოგისტიკის სექტორის მდგრადობის გაძლიერების მიზნით. სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (CSD) რეგულარულად ატარებს ტრენინგებს, აქვეყნებს დოკუმენტებს და მუდმივად თანამშრომლობს ლოგისტიკის სექტორთან. ამ ღონისძიებების უმთავრესი მიზანია ცნობიერების ამაღლება არსებული სანქციებისა და შემზღუდველი რეჟიმების შესახებ, რომელიც გავლენას ახდენს რეგიონის და რეგიონში არსებული ორგანიზაციების ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე.

საქმიანობის ორწლიანი პერიოდის განმავლობაში, სტრატეგიის და განვითარების ცენტრისთვის არაერთხელ გახდა ცნობილი საეჭვო ტრანზაქციების განხორციელების მცდელობების, საეჭვო კლიენტების ან საბოლოო მომხმარებლების შესახებ. ამ ინფორმაციას ორგანიზაციას ხშირად, თავად ტრანზაქციაში მონაწილე აქტორები და კომპანიები აწვდიდნენ. განხილვისას, ლოგისტიკური კომპანიები აღწერდნენ მეთოდებს, რომელსაც შესაძლოა ზოგიერთი კლიენტი ტვირთის ან საქონლის საბოლოო მიმღების დამალვის მიზნით იყენებდეს. მათი თქმით, არსებობს PDF დოკუმენტების გაყალბების შეთავაზების და დახვეწილი პროგრამული უზრუნველყოფის მიერ ფაქტის გამოვლენის თავიდან აცილების შემთხვევები. ლოგისტიკის სექტორის წარმომადგენლები ხშირად ხაზს უსვამენ, რომ სახელმწიფო შეიძლება არ მონაწილეობდეს სანქციების არსებულ მექანიზმებში, მაგრამ კომპანიებმა და, რაც მთავარია, ლოგისტიკის სექტორმა მაინც უნდა უზრუნველყოს რუსულ სამხედრო კომპლექსთან დაკავშირებულ სუბიექტებზე დაწესებული შემზღუდავი რეჟიმების დაცვა. საქართველოში არსებულ მსხვილ ლოგისტიკურ კომპანიებთან საკითხის განხილვისას, ასევე დასახელდა აქტუალური მეთოდები, KYC, KYCC და შესაბამისობის სხვა მეთოდების, რომელსაც ეს კომპანიები ფაქტების გამოსავლენად იყენებენ, შედეგად კი გამოიკვეთა ხარვეზები, რომლებიც აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია ლოგისტიკის სექტორში ოპერირებად კომპანიებსა და ორგანიზაციებს დაეხმაროს შიდა შესაბამისობის პოლიტიკის სიღრმისეულად შესწავლაში, შესთავაზოს ოპერაციული და ტექნოლოგიური პროცესების განახლება და ხელი შეუწყოს სანქციებთან შესაბამისობის მუდმივ გაუმჯობესებაში, ღია წყაროებისა და ფართოდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის გამოყენებით. გარდა ამისა, დოკუმენტი მიზნად ისახავს, საშუალება მისცეს კომპანიებს, რომ ინფორმირებული გადაწყვეტილებები მიიღონ რისკის ანალიზის საფუძველზე და დაინახონ ნებისმიერი უკანონო ტრანზაქციიდან მომდინარე შესაძლო საფრთხეების საერთო სურათი.

დოკუმენტის კონტექსტი და მიზნები

ამ მოდულში განხილულია მაღალტექნოლოგიურ კონვენციურ იარაღთან დაკავშირებული სანქციების პირობები, განსაზღვრულია ტერმინები, შესწავლილია სხვადასხვა კომპონენტი, რომელიც მონიტორინგს საჭიროებს და ხაზგასმულია საქართველოს როლი, პასუხისმგებლობები და საერთო კონტექსტი.

კომპანიის მართვის მნიშვნელობა სანქციების და გაუვრცელებლობის პირობებში

მოდული შეიცავს ინფორმაციას არსებულ სანქციათა რეჟიმების, უცხოური აქტივების კონტროლის ოფისის (OFAC), გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის (UNSCR), ევროკავშირის და სხვა სანქციების შესახებ. აქვე შესწავლილია შეუსაბამობის სავარაუდო შედეგები და სანქციათა რეჟიმების და შესაბამისობის გავლენა ლოგისტიკის სექტორზე.

სანქციებთან შესაბამისობის საფუძვლები

მოდულში აღწერილია უცხოური ორგანიზაციების მიმართ დაწესებული სანქციების ტიპები და ლოგისტიკური კომპანიებისთვის მოცემულია ეფექტური რეკომენდაციები შემოწმებისა და კომპლექსური აუდიტის ჩატარების შესახებ.

სანქციებთან შესაბამისობის სახელმძღვანელო მითითებების განხორციელება

მოდული მიმოიხილავს შესაბამისობის რამდენიმე პროცესს და შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, გვთავაზობს ზოგად სახელმძღვანელო მითითებებს მთელი კომპანიისთვის. ტრანზაქციების დიაგრამა შესაბამისობაზე პასუხისმგებელ პირს დაეხმარება ტრანზაქციამდე შემოწმების პროცესის განხორციელებაში, ხოლო რისკის შეფასების საკონტროლო ჩამონათვალი განკუთვნილია შესაბამისობაზე პასუხისმგებელი ყველა პირისთვის.

პრაქტიკული ნაბიჯები შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის

მოდულში კომპანიისთვის და შესაბამისობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის წარმოდგენილია ზოგადი რეკომენდაციები, რომელიც მოიცავს შესაბამისობის პროგრამის მიმოხილვას და ამ პროგრამის დანერგვისთვის საჭირო ინსტრუმენტებს. აქვე მოცემულია ორი სახის რისკის შეფასების მატრიცა.

კომპლექსური აუდიტი და მონიტორინგი

მოდულში ხაზგასმულია კომპლექსური აუდიტისა და მუდმივი მონიტორინგის მნიშვნელობა სანქციებთან შესაბამისობის პროგრამაში. მოცემულია რეკომენდაციები ეფექტური მონიტორინგის სისტემების დანერგვის შესახებ, დარღვევების თავიდან აცილებისა და რისკების მართვის მიზნით.

თანამშრომელთა სწავლების ძირითადი მიმართულებები

მოდული მოიცავს შესაბამისობაზე პასუხისმგებელი პირების სწავლების ძირითად სფეროებს, მათ შორის სანქციების ტიპებს, შესაბამის უფლებამოსილებებს და ა.შ. განხილულია აუცილებელი კომპონენტები, რომელიც შესაბამისობაზე პასუხისმგებელ პირს უნდა გააჩნდეს იმისთვის, რომ დაკისრებული მოვალეობა ეფექტურად შეასრულოს.

სასარგებლო რესურსები სანქცირებული კომპანიების ან პირების გამოსავლენად

დანართში ჩამოთვლილია ონლაინ რესურსები, რომელიც შემოწმებისა და მონიტორინგის ჩასატარებლად ინფორმაციაზე უფასო წვდომის საშუალებას იძლევა. წარმოდგენილია დასავლეთის ქვეყნებისა და ორგანიზაციების როგორც ერთიანი, ისე ინდივიდუალური სიები.

დოკუმენტის კონტექსტი და მიზნები

რუსეთის მიერ ყირიმის ოკუპაციამ და უკრაინის წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი ომის დაწყებამ შემზღუდველი რეჟიმების მთელი კასკადი გამოიწვია, რაც საბოლოოდ ისტორიაში სანქციების ყველაზე მასშტაბური რეჟიმების დაწესებით დასრულდა. დღესდღეობით, რუსეთის 20 000-ზე მეტ ორგანიზაციას საერთაშორისო სანქციები აქვს დაწესებული. ამის გამო, რუსეთი 50 სანქცირებულ ქვეყანას შორის ლიდერობს და ყველაზე მეტად სანქცირებული ქვეყანაა მთელ მსოფლიოში.[1] დაწესებული შეზღუდვები უამრავ მიზანს ემსახურება. მათ შორისაა რუსეთის მიერ ომის დაფინანსების შესაძლებლობების შეზღუდვა და მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის (ACW)[2] წარმოების შეჩერება.



სანქციათა რეჟიმები ერთმანეთისგან განსხვავდება, შესაბამისად, კოორდინირებულ თანამშრომლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ფინანსური და ლოგისტიკური კომპანიები ყველაზე დიდი რისკის წინაშე დგანან და ამიტომ, ცნობიერების ამაღლებას ამ სექტორებში უფრო მეტი ყურადღება ეთმობა.

სანქციათა რეჟიმებთან შეუსაბამობა ყველაზე მნიშვნელოვანი რისკია, რომელიც კერძო სექტორში ოპერირებად უამრავ ორგანიზაციას ემუქრება. მეორადი სანქციების საფრთხე წარმოშობს შესაბამისობის უფრო ძლიერი სისტემების დანერგვის და სათანადო ღონისძიებების გატარების საჭიროებას.

აღნიშნული მოვლენების ფონზე, მაღალტექნოლოგიურ კონვენციურ იარაღთან დაკავშირებულმა სანქციებმა უაღრესად დიდი მნიშვნელობა შეიძინა კერძო სექტორში ოპერირებადი ორგანიზაციებისთვის, განსაკუთრებით კი, ისეთ ქვეყნებში, რომლებიც რუსეთს ესაზღვრება ან მნიშვნელოვანი ბიზნეს კავშირები აქვს მასთან. კომპანიის შესაძლებლობას, რომ სწრაფად და ზუსტად გამოავლინოს უკანონო ტრანზაქციები და შესაბამისი ზომები გაატაროს თანმხლები რისკების აღმოსაფხვრელად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი შეუფერხებელი ოპერირებისა და რეგულაციებთან შესაბამისობის შენარჩუნებისთვის. შეუსაბამობის მნიშვნელოვანი გავლენის გათვალისწინებით, როგორიც არის, მაგალითად, აქტივების გაყინვა, ექსპორტის შეზღუდვა ან აკრძალვა, ქონების კონფისკაცია და სავიზო აკრძალვა – კერძო სექტორი ფხიზლად უნდა იყოს და სანქციების რეჟიმებთან შესაბამისობას ზედმიწევნით უნდა იცავდეს.[3]

არსებულ სანქციათა რეჟიმების ცოდნა და მათი სათანადოდ განხორციელება განსაკუთრებით საჭიროებს გაუმჯობესებას ტრანსპორტისა დ ლოგისტიკის სექტორებში. წინამდებარე დოკუმენტი მიზნად ისახავს რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების განხორციელებასთან დაკავშირებული პრაქტიკული რეკომენდაციები მიაწოდოს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის კომპანიებს საქართველოში.

---

1 "About 20,000 Sanctions Slapped on Russian Economy by Collective West — MFA."

2 Singapore Ministry of Foreign Affairs, "Sanctions and Restrictions Against Russia in Response to Its Invasion of Ukraine."

3 OFAC, "SANCTIONS ADVISORY Updated Guidance for Foreign Financial Institutions on OFAC Sanctions Au-thorities Targeting Support to Russia's Military-Industrial Base."

მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის და მისი კომპონენტების განსაზღვრება და მაგალითები

რუსეთის წინააღმდეგ ამჟამად მოქმედი სანქციები მიზნად ისახავს, ქვეყანას შეუზღუდოს შეიარაღების სისტემის კრიტიკული კომპონენტებისა და მაღალი წარმადობის დანადგარების იმპორტირების უნარი, რაც მნიშვნელოვნად შეასუსტებს მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის წარმოების შესაძლებლობას. სანქციების მიუხედავად, რუსეთმა და მისმა მოკავშირეებმა საკმაოდ კომპლექსური, დახვეწილი ქსელი შეიმუშავეს სანქციების გვერდის ავლისა და თავდაცვის ინდუსტრიულ კომპლექსში წარმოების გაგრძელებისთვის საჭირო იარაღის და კომპონენტების შესაძენად.

მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის სისტემები მოიცავს მრავალი სხვადასხვა სახის იარაღის სისტემას, მათ შორის, პორტატულ საჰაერო თავდაცვის სისტემებს (MANPADS) და ტანკსაწინააღმდეგო ზუსტი დამიზნების რაკეტებს (ATGM), ძირითადი შეიარაღების სისტემებსა და მძიმე სამხედრო აღჭურვილობას, როგორიც არის ტანკები, თვითმფრინავები და რაკეტები, სენსორები, ლაზერები და ზუსტი დამიზნების იარაღი. გარკვეულ კომპანიებს შეიძლება შეიარაღების სისტემებთან დაკავშირებული პრობლემები სრულად ან ნაწილობრივ შეეხოს, მაგრამ გაცილებით დიდია კომპონენტების ექსპორტთან, გაყიდვებთან და გადაცემასთან დაკავშირებული გამოწვევების ალბათობა.[4]

აშშ-ის მიერ გატარებული ზომები, ასევე, მიმართულია რუსეთის სამხედრო ტექნიკის საბოლოო მომხმარებლების წინააღმდეგ, რომლებიც ვაჭრობის დეპარტამენტმა სანქცირებული სუბიექტების ჩამონათვალში შეიყვანა და, ამით, ფაქტობრივად, შეუჩერა წვდომა ექსპორტის ადმინისტრაციის რეგულაციებში (EAR) მითითებულ თითქმის ყველა პროდუქტზე, მათ შორის, გარკვეულ ელექტრონულ მოწყობილობებზე, სენსორებზე და სატელეკომუნიკაციო თუ კომპიუტერულ მონაცემთა დამუშავებისთვის საჭირო მასალებზე. სანქციების შედეგად, რუსეთის თავდაცვის კომპანიებს, შესაძლოა, სესხებზე უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთის გადახდა და კომპონენტებისა თუ მასალების გაძვირებულ ფასად შეძენა მოუწიოთ.

იარაღის სისტემის წარმოებისთვის საჭირო ხანგრძლივობას თუ გავითვალისწინებთ, შესაძლოა, სანქციებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოკლე დროში ვერ მოახდინოს, მაგრამ დადასტურებით შეიძლება ითქვას, რომ შედეგი აისახა რუსეთის უნარზე – აწარმოოს ძირითადი სისტემები, როგორიც არის ზუსტი დამიზნების იარაღი. მაგალითად, რუსული მედიის ცნობით, მომდევნო თაობის საჰაერო ადრეული შეტყობინებისა და კონტროლის (AEW&C) ხომალდის, „A-100 პრემიერის“ წარმოება შეჩერდა, რადგან დროულად ვერ მოხერხდა ისეთი ელექტრონული კომპონენტების მიწოდება, როგორიც მიკროჩიპებია.

კომპონენტის ტიპი	სურათი/ გამოსახულება	დანიშნულება
მიკროელექტრონიკა/ მიკროჩიპები		საკომუნიკაციო აღჭურვილობა, უპილოტო საფრენი აპარატები, შორ მანძილზე მოქმედი მაღალი სიზუსტის საბრძოლო მასალა

4 United States Department of State, “Advanced Conventional Weapons.”

ნახევარგამტარები		თავდაცვასთან დაკავშირებული კომპონენტები (კომპიუტერები, სენსორები, სვიჩები, გამაძლიერებლები)
საკისრები		ტანკები, თვითმფრინავები, წყალქვეშა ნავები, სხვა სამხედრო-საბრძოლო სისტემები
ქუროები (კაბელის მაერთებლები), მომჭერები, ტრანსფორმატორები, გარსაცმები, ტრანზისტორები, იზოლატორები (მამხოლოებლები)		საბაზისო კომპონენტები, რომლებიც კონვენციური იარაღის სისტემაში გამოყენებულ ელექტრონულ ნაწილს ქმნიან
ძრავები, სატრანსპორტო საშუალების ნაწილები		ტანკები, საჰერობალიშიანი სატრანსპორტო საშუალებები, საფრენი აპარატები
შემადგენელი ნაწილები		თვითმფრინავის ფრთები

საქონელი		ექსპორტის კონტროლის ფარგლებში მინიჭებული კლასიფიკაციის კოდი
თვითმფრინავის ნაწილები და აღჭურვილობა		ECCN 9A991
ანტენები		ECCN 7A994
სასუნთქი სისტემები		ECCN 8A992
ფოტოაპარატები		ECCN 6A993
GPS სისტემები		ECCN 7A994

ინერციული საზომი ბლოკები		ECCN 7A994
მიკროსქემები		ECCN 3A001, 3A991, 5A991
ნავთობმომპოვებელი ტექნიკა		ECCN EAR99
ჰიდროლოკატორები		ECCN 6A991
სპექტროფოტომეტრები		ECCN 3A999
საკონტროლო-გამზომი აღჭურვილობა		ECCN 3B992

ზოგიერთი კომპონენტი, თავისი ტიპის ან კლასის გამო, აშკარად სამხედრო დანიშნულებისაა, თუმცა იარაღის წარმოებისთვის გამოიყენება უამრავი სხვა დეტალიც, რომელსაც ორმაგი დანიშნულება აქვს და თავდაპირველად არ იყო უკანონო მიზნებისთვის განკუთვნილი ან სავარაუდოდ, ასეთი დანიშნულებით არ შექმნილა.

კომპონენტები, რომელიც შეიძლება სამხედრო სფეროში საბოლოო მომხმარებლებმა გამოიყენონ მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის წარმოებისთვის და ამიტომ, კომპანიების მხრიდან დამატებით კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს, შეიძლება იყოს შემდეგი:

ამძრავი (საზღვაო)		ECCN 7A994
წყალქვეშა კომუნიკაცია		ECCN 3A001, 3A991, 5A991
ვაკუუმური ტიმბოები		ECCN EAR99
ფუძეშრეების დამამზადებელი მოწყობილობა		ECCN 6A991

Wafer Substrates		ECCN 3C001 through 3C006

ჩამოთვლილი კომპონენტებიდან არაერთი იწარმოება სხვა ქვეყნების, მათ შორის, აშშ-ის, გერმანიის, ნიდერლანდების, გაერთიანებული სამეფოს, ტაივანისა და იაპონიის კომპანიებში, თუმცა რეექსპორტიორებისა და ექსპედიტორული კომპანიების წყალობით, მათი შოვნა ყველგან შესაძლებელია.

სანქციების ზოგიერთი რეჟიმი, მაგალითად, ევროკავშირის სანქციები, განსაკუთრებით კრძალავს ტრანზაქციებს, რომელიც დაკავშირებულია ორმაგი დანიშნულების საქონელთან, როგორიც არის:

- სათამაშო/გასართობი დრონები;
- კომპლექსური გენერატორები;
- ლეპტოპები და კომპიუტერის დეტალები;
- ნაბეჭდი სქემები;
- რადიო-სანავიგაციო აღჭურვილობა;
- დისტანციური რადიოკონტროლის მოწყობილობა;
- თვითმფრინავის ძრავები და ძრავის ნაწილები;
- ფოტოაპარატები და ლინზები;
- დრონის ძრავები;
- კამუფლაჟის აღჭურვილობა;
- დამატებითი ქიმიური/ბიოლოგიური აღჭურვილობა;
- მასობრივი არეულობის საწინააღმდეგო საშუალებები.

საქართველო მაღალტექნოლოგიურ კონვენციურ იარაღს (ACW) ან მის კომპონენტებს არ აწარმოებს. თუმცა, ყურადღება უნდა მიექცეს რუსეთის მიერ მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის კომპონენტების შესყიდვას მესამე ქვეყნების მეშვეობით, რომლებიც, როგორც ცნობილია, გადაზიდვის ცენტრის როლს ასრულებს. ამ პროცესში ჩართულია სხვადასხვა ფასადური კომპანია და თაღლითური საბოლოო მომხმარებელი, რომლებიც მიკროელეტრონულ მოწყობილობებს და სხვა კომპონენტებს კანონიერი საბაბით ყიდულობენ და შემდეგ სანქცირებულ საბოლოო მომხმარებლებს უგზავნიან რუსეთში. ეს შუამავლები ხშირად იურისდიქციის ფარგლებში მოქმედებენ. ამის გამო გამყიდველებისა და მწარმოებლებისთვის რთულია გამოავლინონ სანქცირებულ სუბიექტებთან დაკავშირებული კომპანიები და თავი აარიდონ მათ. ასეთი სიტუაცია კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რამდენად მნიშვნელოვანია შესაბამისობის შიდა ძლიერი სისტემისა და პროცედურების არსებობა.

ქართული კონტექსტი

კონკრეტული მტკიცებულების გარეშეც აშკარაა, რომ საქართველო – მეზობლების მსგავსად სასურველი ჰაბი ან სატრანზიტო ქვეყანაა რუსეთისთვის. ამიტომ, ქართულ ფინანსურ და ლოგისტიკურ სექტორებს ძალიან დიდი სიფრთხილე მართებთ.

რუსეთს პირდაპირი საზღვარი აქვს 14 ქვეყანასთან (ნორვეგია, ფინეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა (კალინინგრადის გავლით), პოლონეთი (კალინინგრადის გავლით), ბელარუსი, უკრაინა, **საქართველო** (მათ შორის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებული ტერიტორიები), აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ჩინეთი, მონღოლეთი და ჩრდილოეთ კორეა; ასევე, საზღვაო საზღვრები იაპონიასთან და შეერთებულ შტატებთან). საქართველო სარგებლობს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით ევროკავშირთან, ჩინეთთან, თურქეთთან და დსთ-ს ქვეყნებთან. ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსით, საქართველო მე-10 ადგილზეა, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით კი – ლიდერ ქვეყნებს შორის იკავებს პოზიციას. მას გასასვლელი აქვს ზღვაზე (შავი ზღვა), რომელიც საქართველოს პორტებს ევროკავშირის პორტებთან აკავშირებს. ყველა ეს ფაქტორი ხაზს უსვამს იმ რისკებს, რომელთა წინაშეც საქართველო და ქართული კომპანიები დგანან, რადგან ქვეყნის მდებარეობა და აქ არსებული ბიზნეს გარემო მას სასურველ გადაზიდვის ცენტრად აქცევს.

გარკვეული ტიპის უკანონო ტრანზაქციების თავიდან ასაცილებლად, საქართველოს გააჩნია საკანონმდებლო ბაზა, კერძოდ კი – „საქართველოს კანონი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ.“ ეს კანონი ორიენტირებულია გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებზე, რომელიც სანქციებს აწესებს ფულის გათეთრების, უცხოელი ტერორისტების დაფინანსების და იარაღის გავრცელების დაფინანსების წინააღმდეგ, რამდენადაც სანქციათა ეს რეჟიმები იურიდიულად სავალდებულოა და საქართველოზეც ვრცელდება. ამ დადგენილებების სამთავრობო კომისიას იუსტიციის სამინისტრო ხელმძღვანელობს, ხოლო სანქცირებული პირებისა და ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია სამინისტროს ვებგვერდზეა გამოქვეყნებული. თუმცა, წინამდებარე დოკუმენტში განხილული სანქციებისა და კონტროლის მექანიზმებისგან განსხვავებით, ზემოაღნიშნული არ ეხება ორმხრივ სანქციებს (რომელიც გაეროს მიერ არ არის დაწესებული).

საქართველოსა და რუსეთს შორის საქონლის გადაზიდვის რამდენიმე გზა არსებობს. ამჟამად, საქართველო და რუსეთი სახმელეთო გზით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთადერთი მოქმედი სასაზღვრო გამშვები პუნქტი ყაზბეგშია. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ბოლო წლებში, ამ მარშრუტით ტრანსპორტირების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა. მარშრუტზე სანქცირებული საქონლის აღმოჩენა დიდწილად საქართველოს საბაჟო სამსახურის პასუხისმგებლობაა, რადგან ქართული სატრანსპორტო კომპანიების უმეტესობას ნაკლებად ესმის სანქციების რეჟიმი. სარკინიგზო სატვირთო გადაზიდვები აქტიურად არ მიმდინარეობს, რადგან საქართველოსა და რუსეთს შორის პირდაპირი სარკინიგზო კავშირი არ არსებობს. სარკინიგზო გადაზიდვები ხორციელდება აზერბაიჯანის გავლით, რომლის სარკინიგზო სამსახურის ოპერირება და მომსახურება რუსული კომპანიების ხელშია. საქართველოსა და რუსეთს შორის არსებობს პირდაპირი ფრენები. ქართული სატვირთო ავიაკომპანიები უკეთესად იცნობენ სანქციებს და ახორციელებენ უკანონო ოპერაციების გამოვლენისა და პრევენციისკენ მიმართულ პროცესებს. რუსეთსა და საქართველოს შორის რეგულარული საზღვაო კომუნიკაცია არ არსებობს, თუმცა, საქართველოს პორტებში შესაძლებელია ჩარტერული გემების მიღება, შესაბამისი სანქციების სიების შემოწმებით.

კომპანიის მართვის მნიშვნელობა სანქციებისა და გაუვრცელებლობის პირობებში

სანქციათა არსებული რეჟიმები

ამჟამად მოქმედებს რამდენიმე ორმხრივი და მრავალმხრივი სანქცია და ექსპორტის კონტროლის რეჟიმი, რომელიც ვალდებულებებს აკისრებს კერძო სექტორში ოპერირებად კომპანიებს. იარაღთან დაკავშირებულ სანქციათა წინა რეჟიმები ძირითადად ორიენტირებული იყო მხოლოდ მასობრივი განადგურების იარაღის (მგი) წარმოებისთვის გამოყენებულ მასალებზე. ასეთი იყო, მაგალითად, გაეროს მკაცრი სანქციები ჩრდილოეთ კორეის და ირანის მიერ ბირთვული იარაღის გავრცელების დაფინანსების წინააღმდეგ. ამ უკანასკნელთან მიმართებით, სანქციები დღემდე აქტუალურია. 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ და 2022 წელს უკრაინის დანარჩენ ტერიტორიაზე მისმა ფართომასშტაბიანმა შეჭრამ სანქციების საერთო სურათი მკვეთრად შეცვალა, რაც განსაკუთრებით განაპირობა მკაცრი სანქციების დაწესებამ მაღალტექნოლოგიურ კონვენციურ იარაღთან დაკავშირებულ ტრანზაქციებში ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირების წინააღმდეგ.

შეერთებული შტატები პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც რუსეთს სანქციები დაუწესა მას შემდეგ, რაც რუსეთმა ყირიმი (უკრაინა) დაიპყრო 2014 წელს. სანქციები, რომელიც უცხოური აქტივების კონტროლის ოფისმა (OFAC) აამოქმედა, ვრცელდება გარკვეულ სექტორებზე, კრძალავს ტრანზაქციებს სპეციალური სტატუსის მქონე პირებთან და ასევე, ყირიმთან დაკავშირებული საქონლის ინვესტიციებსა და ექსპორტს/იმპორტს. 2017 წელს ძალაში შევიდა ამერიკის მტრების წინააღმდეგ სანქციების საშუალებით ბრძოლის აქტი (CAATSA). აქტის 231-ე პუნქტი, რომელსაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი მართავს, ეხება ტრანზაქციებს რუსეთის დაზვერვისა და თავდაცვის სექტორთან, რაც შეერთებულ შტატებს საშუალებას აძლევს, იმოქმედოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირის წინააღმდეგ, რომელიც რუსული მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის წარმოებაში, გაყიდვაში ან მიწოდებაშია ჩართული.[5]

აღსანიშნავია, რომ CAATSA აქტის საფუძველზე, აშშ-ს შეუძლია დასაჯოს ნებისმიერი, თუნდაც არაამერიკული ორგანიზაცია, რომელიც უკანონო სუბიექტებთან თანამშრომლობს. სანქციების მიზანია შეამციროს რუსეთის ეკონომიკური განვითარება, შეაფერხოს მისი სამხედრო მოდერნიზაცია და შეუზღუდოს მას წვდომა ორმაგი დანიშნულების საქონელზე. ვაჭრობის დეპარტამენტის მრეწველობისა და უსაფრთხოების ბიურო (BIS) ზღუდავს რუსეთის წვდომას კრიტიკული მნიშვნელობის საქონელზე, მათ შორის მიკროელექტრონულ მოწყობილობებსა და საფრენი აპარატის დეტალებზე. 2014 წლიდან, ევროკავშირმა მნიშვნელოვანი პარალელური სანქციები დაუწესა რუსეთს. 2024 წლის ივლისის მდგომარეობით, ევროკავშირმა სანქციათა თოთხმეტი პაკეტი დაამტკიცა რუსეთის წინააღმდეგ. ამ პაკეტებში ჩადებულია კონკრეტულად რუსეთის მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის მრეწველობის საწინააღმდეგოდ მიმართული ზომების გატარება. ევროკავშირის სანქციები მიზნად ისახავს რუსეთს შეუზღუდოს ახალი იარაღის წარმოებისა და უკვე არსებულის შეკეთების შესაძლებლობა და ასევე, არ მისცეს მასალების ტრანსპორტირების საშუალება. სანქციები მიმართულია რუსული ორგანიზაციების წინააღმდეგ, რათა მათ წვდომა არ ჰქონდეთ სენსიტიურ ორმაგი დანიშნულების საქონელზე და მაღალტექნოლოგიურ პროდუქციაზე. რუსეთს სანქციები დაუწესეს სხვა ქვეყნებმაც, მათ შორის დიდმა ბრიტანეთმა, იაპონიამ და ავსტრალიამ.

5 "Ukraine-/Russia-Related Sanctions | Office of Foreign Assets Control."

რუსეთის წინააღმდეგ ამჟამად მოქმედი სანქციები მიზნად ისახავს, რუსეთს კრიტიკული სისტემის კომპონენტებისა და მაღალი წარმადობის დანადგარების იმპორტირების შესაძლებლობა შეუზღუდოს, რაც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს რუსეთის მიერ მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის წარმოებაზე. თუმცა, რუსეთმა მოკავშირეებთან ერთად შექმნა ქსელი, რათა იარაღი და მისი კომპონენტები სანქციების გვერდის ავლით შეიძინოს და თავდაცვის სამრეწველო კომპლექსში წარმოების გაგრძელება შეძლოს.

სანქციებთან შეუსაბამობის შედეგები

სანქციათა რეჟიმებთან შესაბამისობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სამართლებრივი ვალდებულებაა, არამედ კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და რეპუტაციის დაცვის თვალსაზრისითაც.

სანქციების ირგვლივ არსებული სამართლებრივი გარემო მკაცრი და რთულია. რუსეთთან დაკავშირებული სანქციათა რეჟიმები მიზნად ისახავს შეაჩეროს რუსეთის ომის მანქანა და ხელი შეუშალოს მას მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის წარმოებაში. სანქციებთან შეუსაბამობამ, შეიძლება, მძიმე სამართლებრივი შედეგები გამოიწვიოს. კომპანიებს, რომლებიც სანქციებს არღვევენ, შეიძლება დიდი ჯარიმები დააკისრონ და აქტივები გაუყინონ. ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, ასეთი კომპანიების ხელმძღვანელების წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნაც დაიწყოს. მაგალითად, რამდენიმე მულტინაციონალური კორპორაცია მილიარდობით დოლარით დააჯარიმეს სანქციების დარღვევის გამო. გარდა ფულადი ჯარიმებისა, სანქციების დარღვევის სამართლებრივი შედეგი, შეიძლება, იყოს ასევე ხანგრძლივი, ძვირადღირებული სასამართლო პროცესები და შეზღუდვები მომავალ ბიზნეს ოპერაციებზე.

სანქციებთან შესაბამისობას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ფინანსური თვალსაზრისითაც. სანქციების დარღვევას შეიძლება შედეგად მოჰყვეს პირდაპირი ფინანსური ზარალი დაკისრებული ჯარიმებისა და იურიდიული მომსახურების მისაღებად გაწეული ხარჯების გამო. ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებს მოეთხოვებათ, რომ მკაცრად დაიცვან სანქციები. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ შეიძლება დაკარგონ წვდომა საერთაშორისო საბანკო სისტემებზე, რასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ვაჭრობისთვის. ანალოგიურად მნიშვნელოვანია არაპირდაპირი ფინანსური რისკებიც. კომპანიებს, რომლებიც სანქციებს არღვევენ, ემუქრებათ მიწოდების ჯაჭვის ჩამოშლა, ბიზნეს შესაძლებლობების დაკარგვა და ინვესტორის ნდობის შემცირება. მეწილეები და ინვესტორები სულ უფრო მეტად აცნობიერებენ, რამდენად მნიშვნელოვანია სანქციებთან შესაბამისობა. მათ კარგად ესმით, რომ თუ კომპანია სანქციებს არ დაიცავს, ამან შეიძლება გამოიწვიოს აქციების ფასის და საერთო საბაზრო ღირებულების მკვეთრი შემცირება.

მყისიერი კომუნიკაციისა და სოციალური მედიის ეპოქაში, კომპანიამ შეიძლება ელვის სისწრაფით მიიღოს მასშტაბური რეპუტაციული ზიანი. სანქციების დამრღვევ კომპანიებს რეპუტაცია სერიოზულად შეელახებათ როგორც მომხმარებლებთან, ისე ბიზნეს წრეებში. რეპუტაციულ ზიანს შეიძლება გრძელვადიანი ეფექტი ჰქონდეს, რადგან ნდობისა და ავტორიტეტის დაბრუნება ძალიან რთულია. უაღრესად მნიშვნელოვანია საზოგადოების შეხედულება კომპანიის რეპუტაციისა და კეთილსინდისიერების შესახებ. მომხმარებლები დღეს უფრო მეტად ინფორმირებულები და კეთილსინდისიერებაზე ორიენტირებულები არიან. ისინი ხშირად ანიჭებენ უპირატესობას კომპანიებს, რომლებიც ეთიკის ნორმებს იცავენ.

სანქციათა რეჟიმებთან შესაბამისობას არსებითი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი კომპანიისთვის, რომელიც საერთაშორისო არენაზე ოპერირებს. სანქციებთან შეუსაბამობით გამოწვეული სამართლებრივი, ფინანსური და რეპუტაციული რისკები ძალიან მნიშვნელოვანია და სერიოზულ უარყოფით შედეგებთან არის დაკავშირებული. კომპანიებმა ინვესტიცია უნდა ჩადონ მდგრადი შესაბამისობის პროგრამებში, რაც გულისხმობს თანამშრომელთა რეგულარულ სწავლებას, აუდიტის ჩატარებას, კლიენტის შესწავლას (KYC) და საერთაშორისო სანქციების სიის მუდმივ მონიტორინგს. სამყაროში, სადაც ნორმატიული გარემო მუდმივად ვითარდება, შესაბამისობისადმი პროაქტიური მიდგომა უბრალოდ სამართლებრივი აუცილებლობა კი არ არის, არამედ სტრატეგიულად სავალდებულო მოქმედებაა გრძელვადიანი წარმატებისთვის.

სანქციებთან შესაბამისობის გავლენა ლოგისტიკაზე

სანქციებთან დაკავშირებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ლოგისტიკის სექტორში, დარგის საერთაშორისო მასშტაბის და საზღვრებზე საქონლის მოძრაობაში მისი ჩართულობის გამო. თუმცა, შესაბამისობის მიზნით გატარებულმა ღონისძიებებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე.

ყველაზე ხშირად, სანქციებთან შესაბამისობას შედეგად მოჰყვება:

რუსეთთან ვაჭრობის შეზღუდვა, რადგან სანქციები ნიშნავს ემბარგოს გარკვეულ საქონელზე. მაგალითად, აკრძალულია ნავთობის და სხვა სანქცირებული საქონლის ტრანსპორტირება რუსეთის ფედერაციის მიმართულებით და პირიქით.

ლოგისტიკურმა კომპანიებმა სანქციების სიის მიხედვით საფუძვლიანად უნდა შეამოწმონ თავიანთი კლიენტები, მომწოდებლები და სხვა პარტნიორები, რათა თავიდან აიცილონ შეზღუდულ ორგანიზაციებთან მუშაობა. დამატებითი ღონისძიებები ყოველთვის გაზრდილ საოპერაციო ხარჯებს და დროს მოითხოვს. ამგვარი ღონისძიებები განსაკუთრებით აუცილებელია ისეთი ტრანზაქციებისთვის, რომელშიც მაღალი რისკის მატარებელი რეგიონები ან დარგებია ჩართული.

სანქციებთან შესაბამისობის კიდევ ერთი ფართოდ გავრცელებული შედეგია ფინანსური შეზღუდვები, ე.წ. ანგარიშსწორების დაბლოკვა, რაც სანქცირებული ორგანიზაციებისთვის ლოგისტიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული ანგარიშსწორების დამუშავებას ართულებს.

კერძო სექტორში, ძირითადად კი, საავტომობილო მრეწველობაში, საბაჟოზე საქონლის შეფერხების შემთხვევები დაფიქსირდა. საქონელს საბაჟოზე ჩვეულებრივზე დიდხანს აჩერებენ, დამატებითი შემოწმებისა და დოკუმენტაციის მოთხოვნის მიზნით. ზოგიერთმა კომპანიამ მარშრუტები შეცვალა, რის გამოც საჭირო გახდა ტრანსპორტირების მარშრუტების ცვლილებაც, სანქცირებული ტერიტორიების თავიდან ასაცილებლად. შედეგად კი, სატრანზიტო დრო და ხარჯები გაიზარდა.

კომპანიას დამატებითი ხარჯების გაღება უწევს სანქციების დაცვის წესებთან დაკავშირებით პერსონალის მუდმივი სწავლებისა და შესაბამისობის ექსპერტების დაქირავებისთვის.

ზოგადად, კომპანიების წინაშე დადგა სტრატეგიული ადაპტაციის საჭიროება. ეს შეიძლება გულისხმობდეს ალტერნატიული ბაზრების ძიებას (მიმწოდებლის დივერსიფიკაცია) ან ყურადღების არასანქცირებულ ბაზრებზე გადატანას, შეზღუდული სავაჭრო რეგიონების ზემოქმედების შესამცირებლად.

სანქციებთან შესაბამისობის საფუძვლები

სანქციების ტიპები

არსებობს სხვადასხვა სახის სანქცია. თითოეული მათგანი თითოეული პრობლემის სხვადასხვა ასპექტის გადაჭრაზეა ორიენტირებული.

იარაღის ემბარგო უზრუნველყოფს იარაღის და მასთან დაკავშირებული მასალების გაყიდვის ან მიწოდების პრევენციას.

მოგზაურობის შეზღუდვა, რომელსაც ხშირად მოგზაურობის აკრძალვასაც უწოდებენ, კრძალავს შესვლას ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ევროკავშირი, აშშ და დიდი ბრიტანეთი.

აქტივების გაყინვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს საკუთარ აქტივებზე წვდომას უბლოკავს ზემოხსენებულ ქვეყნებში და არ აძლევს ამ თანხების გამოყენების საშუალებას.

ეკონომიკური სანქციები ან კონკრეტული სექტორისთვის დაწესებული სანქციები შეიძლება მოიცავდეს გარკვეული საქონლის იმპორტის ან ექსპორტის აკრძალვას, ინვესტირების აკრძალვას და გარკვეული მომსახურების გაწევის აკრძალვას. ყველა ეს აკრძალვა სანქცირებულ ორგანიზაციებზე ზეწოლის მოსახდენად არის გამიზნული.

როგორ გამოვავლინოთ და ავიცილოთ სანქცირებული სუბიექტები

სანქცირებული სუბიექტების გამოვლენას და აცილებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სანქციათა არსებულ რეჟიმებთან შესაბამისობისთვის. სანქცირებული სუბიექტი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, ორგანიზაცია და ქვეყანა, რომელსაც შეზღუდვები აქვს დაწესებული.

მთავრობები და საერთაშორისო ორგანიზაციები სანქცირებული სუბიექტების სიებს აქვეყნებენ. ამ სიების გამოწერა და რეგულარულად შემოწმება პირველი ნაბიჯია სანქცირებული პირების ან პროდუქტების გამოსავლენად. ასეთია, მაგალითად, აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტის უცხოური აქტივების კონტროლის ოფისის (OFAC) სპეციალური სტატუსის მქონე მოქალაქეების (SDN) სია, ევროკავშირის სანქციების ერთიანი სია[6]. მოგვიანებით უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ინსტრუმენტებს, რომელიც შეგვიძლია ამ მიზნით გამოვიყენოთ.

ახალ კლიენტებთან ან პარტნიორებთან ურთიერთობის დამყარებისას, კომპლექსური აუდიტი ჩაატარეთ. ამისათვის, უნდა შეამოწმოთ მათი **საქმიანობის ისტორია, გადაამოწმოთ საკუთრების სტრუქტურა და დარწმუნდეთ, რომ არც ერთი მხარე სანქცირებულთა სიაში არ არის.**

უნდა გაითვალისწინოთ, რომ სანქციების სიებს ხშირად აახლებენ. იმისათვის, რომ კომპანიამ ან ფიზიკურმა პირმა გაარკვიოს, სტატუსი ხომ არ შეეცვალა რომელიმე სუბიექტს, რომელთანაც ის მუშაობს, აუცილებელია საქმიანი ურთიერთობებისა და ტრანზაქციების უწყვეტი მონიტორინგი. რეკომენდებულია, რომ კომპანიებმა შეიმუშაონ და დანერგონ შიდა პოლიტიკა, რომელიც

6 "Sanctions List Service | Office of Foreign Assets Control."

აკონტროლებს და კრძალავს ტრანზაქციებს სანქცირებულ სუბიექტებთან. ასევე, უაღრესად მნიშვნელოვანია თანამშრომელთა რეგულარული სწავლება. გარდა ზემოაღნიშნული ღონისძიებებისა, საჭიროა კომპლექსური აუდიტის დროს და შესაბამისობის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით გატარებული ღონისძიებების დაწვრილებითი ჩანაწერების წარმოება.

ასეთი სტრატეგიების გამოყენებით, კომპანიას შეუძლია ეფექტურად გამოავლინოს სანქცირებული სუბიექტები და თავიდან აიცილოს მათთან ურთიერთობა. ამ ამოცანის გასამარტივებლად, კომპანიები, როგორც წესი, ხელმძღვანელობენ წინასწარ განსაზღვრული გამაფრთხილებელი ჩამონათვალით, რომელსაც **„წითელი დროშები“** და **„პრობლემური ტრანზაქციები“** ეწოდება.

„წითელი დროშების“ მართვა ბიზნესის წარმოებისას

„წითელი დროშით“ აღნიშვნა კომპანიებს საეჭვო საქმიანობის გამოვლენასა და შეტყობინებას უადვილებს. „წითელი დროშების“ აღმოჩენის სავარაუდო წერტილებია კლიენტი/საბოლოო მომხმარებელი, პროდუქტი/მომსახურება, დაფინანსების წყარო/ანგარიშსწორების პირობები და ტრანსპორტირება/მიწოდება.

კლიენტთან დაკავშირებული „წითელი დროშები“	კლიენტი ან მისი მისამართი ვაჭრობის დეპარტამენტის [BIS] მიერ აკრძალულ პირთა სიაში შეტანილი ერთ-ერთი პირის მონაცემებს ჰგავს.
	კლიენტს ან შემსყიდველ აგენტს არ სურს ინფორმაციის მოწოდება საქონლის საბოლოო მომხმარებლის შესახებ.
	კლიენტი ჩართულია სამხედრო ბიზნესში.
	კლიენტი არ იცნობს პროდუქტის საექსპლუატაციო მახასიათებლებს, მაგრამ მაინც სურს მისი შეძენა.
	კლიენტს უჩვეულოდ გადაჭარბებული მოთხოვნები აქვს საქონლის დანიშნულების ადგილის, მომხმარებლების ან სპეციფიკაციების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის მიმართ.
	კლიენტი უჩვეულო და გადაჭარბებულ კონფიდენციალურობას ითხოვს დანიშნულების ადგილის ან მისაწოდებელი პროდუქტების შესახებ.
პროდუქტთან დაკავშირებული „წითელი დროშები“	შეფუთვა არ შეესაბამება მითითებულ ტრანსპორტირების წესს ან დანიშნულების ადგილს.
	შეკვეთილი საქონელი არ შეესაბამება იმ ქვეყნის ტექნიკურ დონეს, სადაც მისი ტრანსპორტირება ხდება. მაგალითად, ნახევარგამტარის მწარმოებელი დანადგარის ტრანსპორტირება ისეთ ქვეყანაში, რომელსაც არ გააჩნია ელექტრონული მოწყობილობების მრეწველობა; ასევე, საბოლოო მომხმარებლად მითითებული კლიენტისთვის ზედმეტად მაღალტექნოლოგიური საქონლის ტრანსპორტირება მსგავს ქვეყნებში.

	პროდუქტის შესაძლებლობები არ შეესაბამება მყიდველის საქმიანობის სფეროს.
	შეუსაბამობა ტრანსპორტირებულ საქონელსა და მის დეკლარირებულ ღირებულებას, რაოდენობას ან აღწერას შორის. შეუსაბამობა შეიძლება წარმოიშვას დოკუმენტების გაყალბების ან შეცვლის, ან ტრანზაქციის მონაწილე მხარეებს შორის ფარული გარიგების შედეგად.
	მსხვილი შესყიდვები დოლარში ან მოცულობითი შესყიდვები ელექტრო/სამრეწველო საქონლის საბითუმო მოვაჭრეებისგან, ელექტრო ნაწილების და ხელსაწყოების პროვაიდერებისგან ან ელექტრონული ნაწილების პროვაიდერებისგან.
ტრანსპორტირე-ბასთან დაკავშირებული „წითელი დროშები	მარშრუტის მოულოდნელი, აუხსნელი ცვლილება ან საბოლოო მომხმარებლებისა თუ მიმღები პირის ცვლილება ბოლო წუთზე. მაგალითად, საქონლის გადამისამართება მესამე ქვეყნებში, რომლებსაც ნაკლები შეზღუდვა აქვთ რუსეთში ან ბელარუსში რეექსპორტზე.
	გადაზიდვის ქვეყანაში მდებარე კომპანია, რომელიც ელექტრონული მოწყობილობების ან დანადგარების წარმოების სფეროში საქმიანობს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ახლად დაარსებულია ან წარმომადგენლობა აქვს რუსეთში.
	პროდუქტის საბოლოო დანიშნულების ადგილად ექსპედიტორი კომპანიაა მითითებული.
ანგარიშსწორე-ბასთან დაკავშირებული „წითელი დროშები“	კლიენტს სურს ნაღდი ფულით გადაიხადოს ყველაზე ძვირადღირებული პროდუქტის საფასური, მაშინ, როდესაც გაყიდვის პირობებში, როგორც წესი, ფინანსირებაა გათვალისწინებული.
	კლიენტი დაჟინებით მოითხოვს ანგარიშსწორების არატრადიციული მეთოდების გამოყენებას (ბიტკოინი, სხვა კრიპტოვალუტა)
	ტრანზაქციები, რომელიც ანგარიშსწორებას მოიცავს, ხორციელდება მესამე ქვეყნებში მდებარე სუბიექტებისგან, რომლებსაც ტრანზაქციასთან სხვა კავშირი არ აქვთ და როგორც ცნობილია, საექსპორტო გადაზიდვის პოტენციურ პუნქტს წარმოადგენენ.
	ისეთი საფასურის შეთავაზება, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება შესაბამისი საქონლისა თუ მომსახურების ნორმალურ საბაზრო ღირებულებას.[7]

7 “Sanctions List Service | Office of Foreign Assets Control.”

საზღვაო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული „წითელი დროშები“

საზღვაო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული უკანონო ქმედება შეიძლება იყოს:

- ავტომატური საიდენტიფიკაციო სიგნალების (AIS) მანიპულირება გემის სახელწოდების, საიდენტიფიკაციო ნომრის ან შემდეგი დანიშნულების პორტის შესანიღბად.
- გემის ავტომატური საიდენტიფიკაციო სიგნალის (AIS) გათიშვა (რასაც ასევე უწოდებენ „სპუფინგს“).
- გემის ავტომატური საიდენტიფიკაციო სიგნალის (AIS) მონაცემები გვიჩვენებს, რომ გემი არაპირდაპირ მარშრუტებს ან დაუგეგმავ შემოვლით გზას იყენებს – განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ასეთ გადახრას ადგილი აქვს მაღალი რისკის შემცველ ზონაში.
- ტრანსპორტირების მარშრუტი უჩვეულოა პროდუქტის და დანიშნულების ადგილის გათვალისწინებით.
- გემის დროშის ფალსიფიკაცია, მოკლე პერიოდის განმავლობაში გემზე ქვეყნის დროშის რამდენჯერმე შეცვლა, ან ქვეყნის დროშის გამოყენების გაგრძელება გემის რეგისტრაციიდან მოხსნის შემდეგაც.
- გემის საიდენტიფიკაციო ნიშნების ფიზიკურად შეცვლა, მაგალითად, გემის სახელწოდების ან IMO ნომრის გადაღებვა.
- ტვირთის გადატანა სხვა გემზე (როგორც წესი, ზღვაზე), სანქცირებული ტვირთების, სუბიექტების ან დანიშნულების ადგილის დასამალად. განსაკუთრებით ყურადსაღებია გემიდან გემზე გადატვირთვა მაღალი რისკის შემცველ ზონებში ან ღამით.
- ტვირთის და გემის დოკუმენტების, მაგალითად, სასაქონლო ზედნადების, წარმოშობის სერტიფიკატების, ანგარიშ-ფაქტურების, სადაზღვევო სერტიფიკატების და დანიშნულების ბოლო პორტის გაყალბება, სანქცირებული წარმოშობის ან სანქცირებული ორგანიზაციის საქონლის დასამალად.[8]

ყალბი დროშის ოპერაციები გულისხმობს გემის განზრახ არასწორი დროშის ქვეშ ცურვას. ამ ტაქტიკას გემის შესახებ ნამდვილი ინფორმაციის დასამალად ხშირად იყენებენ კერძო პირები ან სუბიექტები, რომლებიც ჩართული არიან უკანონო საქმიანობაში, როგორიც არის კონტრაბანდა ან უკანონო ვაჭრობა.

დროშის ხშირი ცვლილება გულისხმობს დროშის რეგისტრაციის სწრაფ და ხშირად განმეორებით ცვლილებას, რაც გემის მოძრაობისა და საქმიანობის მიკვლევას ართულებს. დროშების შეცვლა ფართოდ გავრცელებული და კანონიერი პრაქტიკაა, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა, თუ რა პერიოდულობით ხდება ცვლილება და როგორია დროშის მდგომარეობის კონტექსტი.[9]

უკანონო სუბიექტები შეიძლება შეეცადონ შენიღბონ ტვირთის ან მიმღების საბოლოო დანიშნულების ადგილი ან წარმომავლობა არაპირდაპირი მარშრუტების, დაუგეგმავი

8 New Zealand Sanctions Unit, “RUSSIA SANCTIONS GUIDANCE Sanctions Evasion: Common Red Flags.”

9 “Registration of Ships and Fraudulent Registration Matters.”

შემოვლითი გზების, ტრანზიტის ან მესამე ქვეყნების გავლით გადაზიდვის გამოყენებით. მიუხედავად იმისა, რომ ტრანზიტი და გადატვირთვა ჩვეულებრივი მოვლენაა საერთაშორისო ვაჭრობაში, კარგი იქნება, თუ გულდასმით შეისწავლით მარშრუტებსა და დანიშნულების ადგილებს, რომლებიც სტანდარტულ ბიზნეს პრაქტიკას არ შეესაბამება.

გემიდან გემზე გადატვირთვა (STS გადატვირთვა) აღნიშნავს ტვირთის, საქონლის ან მასალების ერთი გემიდან მეორეზე პირდაპირ გადატანას ზღვაზე. გემიდან გემზე გადატვირთვა შეიძლება განხორციელდეს კანონიერი მიზნებისთვის, როგორიც არის:

- ტვირთის შენახვა მცურავ საწყობში;
- ტვირთების შერევა (ე.წ. „მცურავი შერევა“);
- ტვირთის გადატანა დიდი ტევადობის გემიდან მცირე ტევადობის გემზე.

თუმცა, გემიდან გემზე გადატვირთვა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ გადატვირთვა ღამით ხდება ან სანქციებისგან თავის არიდების მაღალი რისკის შემცველ ზონებში ხორციელდება, ან სხვა უკანონო ქმედებები ხშირად გამოიყენება ფარულად გადატვირთული საქონლის ნამდვილი წარმომავლობის ან დანიშნულების ადგილის შენიღბვის გზით სანქციების გვერდის ასავლელად.

სანქციებთან შესაბამისობის სახელმძღვანელო მითითებების განხორციელება

როგორც წესი, სანქციებთან შესაბამისობის ძირითადი სტრატეგია მოიცავს რამდენიმე საკვანძო საფეხურს, რომელიც ორგანიზაციის მიერ შესაბამისი რეგულაციების შესრულებას უზრუნველყოფს. ქვემოთ მოცემულია რეკომენდაციები, დიაგრამა და საკონტროლო სია, რომლითაც შეგიძლიათ აღნიშნული პროცესის განხორციელებისას იხელმძღვანელოთ:

ზოგადი მითითებები მოცემული საფეხურების მიზანია, რომ ორგანიზაციამ, როგორც ერთმა მთლიანმა, შეძლოს სანქციასთან დაკავშირებულ პრობლემებთან გამკლავება.	**სანქციათა მოქმედი რეჟიმების გააზრება**	განსაზღვრეთ და გაიაზრეთ სანქციებთან დაკავშირებული რეგულაციები, რომელიც თქვენს ორგანიზაციას ეხება (მაგ., OFAC-ის გაეროს, ევროკავშირის და ა.შ. რეგულაციები).
		მუდმივად ადევნეთ თვალი სანქციებთან დაკავშირებულ რეგულაციებს: გამოიწერეთ მთავრობის ოფიციალური ვებგვერდები, დარეგისტრირდით განახლებული რეგულაციების და გაფრთხილებების მისაღებად, გაწევრიანდით შესაბამის ასოციაციებში (მაგ., გაწევრიანდით სანქციების სერტიფიცირებული სპეციალისტების ასოციაციაში - ACSS; მონაწილეობა მიიღეთ ფორუმებში, ვებინარებსა და კონფერენციებში).
	სანქციებთან შესაბამისობის პოლიტიკის შემუშავება:	მიზანშეწონილია, რომ კომპანიებმა შეიმუშაონ სანქციებთან შესაბამისობის ინდივიდუალური წერილობითი პოლიტიკა, კონკრეტულ მრეწველობასთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით.
		პოლიტიკა უნდა მოიცავდეს ბიზნესის ყველა ასპექტს და დამტკიცებული უნდა იყოს უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ.
	შიდა კონტროლის მექანიზმები და პროცედურები	სანქციებთან შესაბამისობის სამართავად, დაადგინეთ შიდა კონტროლის მექანიზმები და პროცედურები.
		შეიმუშავეთ ოქმები, კვლევითი პროგრამებიდან მიღებული პოტენციური დამთხვევების ან გაფრთხილებების დასამუშავებლად.
		პროცედურები უნდა იყოს მკაფიო, სათანადოდ დოკუმენტირებული და შესაბამისი პერსონალისთვის ხელმისაწვდომი.
ტრანზაქციასთან დაკავშირებული მითითებები მოცემული საფეხურების მიზანია, რომ ტრანზაქცია განხორციელდეს უსაფრთხოდ, საერთაშორისო რეგულაციების დაცვით.	**რისკის შეფასება**	თანამშრომლებს რეგულარულად უნდა უტარდებოდეთ სწავლება სანქციებთან დაკავშირებული რეგულაციების და სანქციებთან შესაბამისობის შიდა პოლიტიკის შესახებ.
		თანამშრომლებს უნდა ესმოდეთ სანქციებთან შესაბამისობის მნიშვნელობა და უნდა იცოდნენ, როგორ გამოავლინონ „წითელი დროშები“.

შიდა მონიტორინგი მოცემული საფეხურების მიზანია, რომ ორგანიზაცია დაცული იყოს სამართლებრივი შედეგებისგან.	**ანგარიშების წარმოება და დოკუმენტაცია**	აწარმოეთ სანქციებთან დაკავშირებული ყველა კომპლექსური აუდიტის, შემოწმების შედეგების და შესაბამისობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების ზუსტი და დაწვრილებითი ჩანაწერები.
	შეტყობინება და ესკალაცია	შეიმუშავეთ ოქმი სანქციების პოტენციური დარღვევების შესახებ შესაბამისი ორგანოების ინფორმირებისთვის.
	რეგულარული აუდიტები და მიმოხილვა	რეგულარულად ჩაატარეთ სანქციებთან შესაბამისობის პროგრამის აუდიტები და მიმოხილვა, რათა გამოავლინოთ და აღმოფხვრათ ნებისმიერი სისუსტე.
		შესაბამისობის პროგრამა საჭიროებისამებრ განაახლეთ, აუდიტის შედეგებისა და რეგულაციებში შეტანილი ცვლილებების მიხედვით.

აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება დაგეხმარებათ სანქციებთან შესაბამისობის მდგრადი სტრატეგიის დადგენასა და სანქციების დარღვევის რისკის შემცირებაში.

ტრანზაქციების დიაგრამა



საკონტროლო სია რისკის შეფასებისთვის

- ☐ იცნობს თუ არა თქვენი კომპანია კლიენტებსა და მესამე მხარეებს?
  - ☐ შემოწმებულია თუ არა ფიზიკური და იურიდიული პირები სანქციების სიების მიხედვით?
  - ☐ გაქვთ თუ არა საშუალება აკონტროლოთ, ვისი ინტერესები დგას ინდივიდუალური კლიენტების, მომწოდებლების ან სხვა მესამე მხარის უკან?
- ☐ იცნობს თუ არა თქვენი კომპანია პროდუქტს ან მომსახურებას?
  - ☐ არის თუ არა პროდუქტი ან მომსახურება ორმაგი დანიშნულების ან გამოიყენება თუა რა სამხედრო მიზნებისთვის?
  - ☐ სჭირდება თუ არა პროდუქტის ან მომსახურებას ექსპორტის ლიცენზია?
  - ☐ პროდუქტს ან მომსახურებას ემბარგო ხომ არ აქვს დაწესებული?
- ☐ აქვს თუ არა თქვენს კომპანიას ინფორმაცია მიმღები ქვეყნის შესახებ?
  - ☐ არის თუ არა მიმღები ქვეყანა რუსეთი?
  - ☐ თუ რუსეთი არ არის, არის თუ არა ეს ქვეყანა რუსეთის ცნობილი ხელშემწყობი?
- ☐ აქვს თუ არა თქვენს კომპანიას ინფორმაცია საბოლოო დანიშნულებისა და საბოლოო მომხმარებლის შესახებ?
  - ☐ დაამტკიცეთ თუ არა პროდუქტის ან მომსახურების საბოლოო დანიშნულება?
  - ☐ არსებობს თუ არა სანქციები, რომელიც შეიძლება ამ საბოლოო დანიშნულებაზე ვრცელდებოდეს?
  - ☐ ჩადებული გაქვთ თუ არა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში მუხლი საბოლოო დანიშნულების/მომხმარებლის და სანქციების შესახებ?
  - ☐ შეგიძლიათ თუ არა გადაამოწმოთ, საბოლოო მომხმარებელი და მისი საბოლოო ბენეფიციარი სანქცირებული ხომ არ არის?
- ☐ ფლობს თუ არა თქვენი კომპანია დეტალურ ინფორმაციას ტრანზაქციის შესახებ?
  - ☐ არის თუ არა ტრანზაქცია დასაშვები, სანქციებისა და ექსპორტის კონტროლის მოთხოვნების გათვალისწინებით?
  - ☐ არსებობს თუ არა რაიმე სანქცია, რომელიც პროდუქტის/მომსახურების მიწოდების ადგილზე ვრცელდება?
  - ☐ იქნებიან თუ არა ტრანზაქციაში ჩართული მესამე მხარეები, მაგალითად, თქვენი კომპანიის სახელით მოქმედი აგენტები ან სატრანსპორტო კომპანიები?

პრაქტიკული ნაბიჯები სანქციებთან შესაბამისობისთვის

სანქციებთან შესაბამისობის ძლიერი პროგრამა არსებითად მნიშვნელოვანია საერთაშორისო ოპერაციებში ჩართული ორგანიზაციებისთვის, რამდენადაც უზრუნველყოფს ორგანიზაციის მიერ საერთაშორისო სანქციებთან დაკავშირებული რეგულაციების დაცვას და ასევე, სამართლებრივი და რეპუტაციული რისკების თავიდან აცილებას. აღნიშნული პროგრამა შემდეგი ძირითადი ელემენტებისგან უნდა შედგებოდეს:

მკაცრად რეკომენდებულია, რომ დაინიშნოს შესაბამისობაზე პასუხისმგებელი პირი (ე.წ. შესაბამისობის ოფიცერი), რომელიც, როგორც წესი, პასუხისმგებელია სანქციებთან შესაბამისობის პროგრამის შემუშავებაზე, დანერგვასა და ზედამხედველობაზე. ამ პროცესის ნაწილი შეიძლება იყოს პოლიტიკის შემუშავება, რისკის შეფასების ჩატარება, თანამშრომლების სწავლება და შესაბამისობის მიზნით გატარებული ღონისძიებების მონიტორინგი. კომპანიის ხელმძღვანელებმა სათანადო ძალაუფლება უნდა მიანიჭონ შესაბამისობაზე პასუხისმგებელ პირს, რათა მას პროგრამის ეფექტიანი მართვისთვის საჭირო უფლებამოსილება და რესურსები გააჩნდეს, მათ შორის ხელმისაწვდომობა ჰქონდეს უმაღლეს ხელმძღვანელობასთან და დირექტორთა საბჭოსთან.

დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად, შესაბამისობაზე პასუხისმგებელი პირისთვის მთავარი ინსტრუმენტია რისკების მატრიცა, რომელიც მრეწველობის საჭიროებებსა და არსებულ საფრთხეებს უნდა შეესაბამებოდეს. შესაბამისობაზე პასუხისმგებელი პირი გეოგრაფიული დაფარვის, კლიენტთა ბაზის, პროდუქტის ასორტიმენტისა და მიწოდების ჯაჭვის საფუძველზე, რეგულარულად უნდა აფასებდეს, რამდენად დაუცველია ორგანიზაცია სანქციებთან დაკავშირებული რისკების მიმართ. რისკების შეფასებისას, გამოყენებული უნდა იყოს ისეთი კრიტერიუმები, როგორიც არის ქვეყანასთან დაკავშირებული რისკი, კლიენტთან დაკავშირებული რისკი, ტრანზაქციასთან დაკავშირებული რისკი და პროდუქტთან/კლიენტთან დაკავშირებული რისკი.

ზემოქმედების კრიტერიუმები				მოწყვლადობის კრიტერიუმები		
ქულა	**ფინანსური**	**სამართლებრივი**	**რეპუტაციული**	**ქულა**	**ალბათობა**	**აღმოჩენადობა**
5	>$100K – ზარალის რეალური შესაძლებლობა.	დანამდვილებით იქნება სერიოზული პრობლემები.	პრესაში აუცილებლად გაშუქდება უარყოფითად.	**5**	მაღალი რისკი >70% შემდეგი 12 თვის განმავლობაში.	მონიტორინგი/დაცვის მექანიზმები: არ არსებობს; - შეუსაბამობის დაფიქსირებამდე აღმოჩენა რთულია.
4	$50K-$100K – ზარალის რეალური შესაძლებლობა.	პრობლემები სავარაუდოდ იქნება.	პრესაში, სავარაუდოდ, უარყოფითად გაშუქდება.	**4**	მნიშვნელოვანი რისკი ~50% შემდეგი 12 თვის განმავლობაში.	მონიტორინგი/დაცვის გარკვეული მექანიზმები არსებობს; - შეუსაბამობის დაფიქსირებამდე აღმოჩენა საკმაოდ რთულია.
3	$30K-$50K – ზარალის რეალური შესაძლებლობა.	პრობლემები ალბათ იქნება.	პრესაში, ალბათ, გაშუქდება უარყოფითად.	**3**	ზომიერი რისკი.	არსებობს შეზღუდული მონიტორინგი/დაცვის მექანიზმები: შეუსაბამობის დაფიქსირებამდე აღმოჩენა ზომიერად რთულია.
2	$10K-$30K – ზარალის შესაძლებლობა.	შესაძლოა, პრობლემები იყოს.	პრესაში, შესაძლოა, უარყოფითად გაშუქდეს.	**2**	უმნიშვნელო რისკი.	არსებობს კარგი მონიტორინგი/ დაცვის მექანიზმები – რისკი, რომ შეუსაბამობის დაფიქსირებამდე აღმოჩენა ვერ მოხდება, უმნიშვნელოა.
„	<$10K მცირე ალბათობა, რომ ზარალი გადააჭარბებს ₾10,000-ს.	ნაკლებ სავარაუდოა, რომ პრობლემები იყოს.	ნაკლებ სავარაუდოა, რომ პრესაში უარყოფითად გაშუქდება.	**1**	დაბალი რისკი.	არსებობს ძლიერი მონიტორინგი/ დაცვის მექანიზმები – დიდია ალბათობა, რომ აღმოჩენა შეუსაბამობის დაფიქსირებამდე მოხდეს.

ინდივიდუალური რისკების მატრიცის მაგალითი

ზოგადი რისკების მატრიცა		გავლენა				
		1	2	3	4	5
ალბათობა	5	საშუალო/ მაღალი	საშუალო/ მაღალი	მაღალი	მაღალი	მაღალი
	4	დაბალი/ საშუალო	საშუალო/ მაღალი	საშუალო/ მაღალი	მაღალი	მაღალი
	3	დაბალი/ საშუალო	დაბალი/ საშუალო	საშუალო/ მაღალი	საშუალო/ მაღალი	მაღალი
	2	დაბალი	დაბალი	დაბალი/ საშუალო	დაბალი/ საშუალო	საშუალო/ მაღალი
	1	დაბალი	დაბალი	დაბალი	დაბალი/ საშუალო	საშუალო/ მაღალი

ზოგადი რისკების მატრიცის მაგალითი

რისკების მატრიცა პრაქტიკაში ყოველთვის ეფუძნება შემუშავებულ კომპლექსურ პოლიტიკას, სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული ორგანიზაციის პოზიცია სანქციებთან შესაბამისობის, მათ შორის აკრძალვების, მოთხოვნების და ა.შ. მიმართ.

პრაქტიკაში პოლიტიკის სათანადოდ გამოყენებისთვის, კომპანიებმა უნდა შეიმუშაონ ოპერაციული სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიც არის ახალი კლიენტების შეძენა, ტრანზაქციების მონიტორინგი და პოტენციურ დარღვევებთან გამკლავება. სათანადო ოპერაციული პრაქტიკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია თანამშრომელთა რეგულარული სწავლება, რათა მათ ესმოდეთ სანქციებთან დაკავშირებული რეგულაციები, სანქციებთან შესაბამისობის მნიშვნელობა, პოტენციური დარღვევების ამოცნობისა და შეტყობინების წესი. ცნობიერების ამაღლების კამპანიის ჩატარება ასევე უწყობს ხელს სანქციების საკითხების მუდმივ მეთვალყურეობას და სანქციებთან შესაბამისობის გაძლიერებას.

შესაბამისობაზე პასუხისმგებელ პირს, რომელსაც სწავლება აქვს გავლილი, უნდა შეეძლოს მაღალი რისკის შემცველი სუბიექტების და ტრანზაქციების გაძლიერებული კომპლექსური აუდიტის ჩატარება, მათ შორის, შესამოწმებელი სუბიექტის ისტორიის საფუძვლიანად შესწავლა და მიმდინარე მონიტორინგის განხორციელება. გარდა ამისა, მან შემოწმებისა და კომპლექსური აუდიტის ფარგლებში განხორციელებული ყველა ღონისძიების დეტალური ჩანაწერი უნდა აწარმოოს. შესაბამისობაზე პასუხისმგებელი პირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა რეგულარული შიდა აუდიტების ჩატარება, შესაბამისობის პროგრამის ეფექტურობის შეფასებისა და გასაუმჯობესებელი სფეროების გამოვლენის მიზნით. შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით, შესაბამისობაზე პასუხისმგებელმა პირმა უნდა შეიმუშაოს რეაგირების გეგმა, შესაბამისობასთან დაკავშირებით გამოვლენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად, მათ შორის – უნდა განსაზღვროს პრობლემის გამოკვლევის, აღმოფხვრის და პრევენციისთვის საჭირო ნაბიჯები. გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების თანამ-შრომლებმა შეიძლება დისციპლინარული ზომები მიიღონ სანქციების პოლიტიკის დამრღვევი თანამშრომლების წინააღმდეგ. დისციპლინარული ზომების სიმკაცრე დამოკიდებულია დარღვევის სერიოზულობაზე.

კომპლექსური აუდიტი და მონიტორინგი

კომპლექსური აუდიტი და მონიტორინგი სანქციებთან შესაბამისობის მდგრადი პროგრამის კრიტიკულად მნიშვნელოვანი კომპონენტებია, რომლებიც ფუნდამენტურ როლს ასრულებენ საერთაშორისო გარემოში ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული რისკების გამოვლენასა და შემცირებაში.

სათანადო კომპლექსური აუდიტი მოიცავს პოტენციური კლიენტების, მომწოდებლებისა და ბიზნეს პარტნიორების ისტორიის საფუძვლიან შესწავლას, სანქცირებულ სუბიექტებთან ან პირებთან კავშირების გამოვლენის მიზნით. ამ პროცესს „ვეტინგი“ ეწოდება და მისი საშუალებით, მცირდება აკრძალულ ტრანზაქციებში უნებლიეთ მონაწილეობის რისკი.

მუდმივი მეთვალყურეობა/უწყვეტი მონიტორინგი უზრუნველყოფს ბიზნეს პარტნიორის ან ტრანზაქციების სტატუსის ცვლილების დაუყოვნებლივ აღმოჩენას. სტატუსის ცვლილება შეიძლება დაკავშირებული იყოს ახალი სანქციების დაწესებასთან ან არსებული სანქციების განახლებასთან. მონიტორინგის სათანადო და ეფექტური სისტემები უნდა უზრუნველყოფდეს რეალურ დროში გაფრთხილებას, თუ სუბიექტს სანქციები დაუწესდება. ეს დაუყოვნებლივ მოქმედების საშუალებას იძლევა ტრანზაქციების ან ურთიერთობის შესაჩერებლად. ეფექტური კომპლექსური აუდიტის მექანიზმი უზრუნველყოფს სანქცირებულ სუბიექტებთან ტრანზაქციების დაწყების პრევენციას. მისი საშუალებით ორგანიზაციას შეუძლია თავიდან აიცილოს პოტენციური დარღვევები და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი და ფინანსური შედეგები, რადგან შესაძლებლობა აქვს დროულად აღმოაჩინოს პოტენციური დარღვევები და მაკორექტირებელი მოქმედებები მანამ გაატაროს, სანამ დარღვევა მოხდება ან გამოვლინდება.[10]

10 “What Businesses Need to Know about Sanctions Compli

თანამშრომელთა სწავლების ძირითადი მიმართულებები

სანქციებთან დაკავშირებული სწავლების ძირითადი მიმართულებები შეიძლება მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- **სანქციათა რეჟიმების გააზრება**

  a. სანქციათა ტიპები;

  b. განსხვავება ეკონომიკურ სანქციებს შორის;

  c. სავაჭრო ემბარგო;

  d. ფინანსური შეზღუდვები;

  e. სექტორული სანქციები.

- **სანქციების დამწესებელი შესაბამისი ორგანოების გაცნობა**

  a. უცხოური აქტივების კონტროლის ოფისი (OFAC);

  b. ევროკავშირი;

  c. გაერო;

  d. სხვა დასავლური ქვეყნები.

- **სანქციების მოქმედების სფეროს გააზრება**

  a. სანქციების გავრცელება იურისდიქციის საფუძველზე;

  b. სანქციების გავრცელება სუბიექტის მდებარეობის საფუძველზე.

- **სანქციების სიებში კლიენტისა და ტრანზაქციის შემოწმების, შემოწმების ინსტრუმენ-ტების და „წითელი დროშების“ გააზრება.**

- **კონკრეტულ მრეწველობასთან (მაგ., ენერგეტიკა, ტრანსპორტი, ფინანსები და ა.შ.) დაკავშირებულ სანქციებთან შესაბამისობის სპეციფიკის გააზრება.**

- **ჩანაწერების წარმოებისა და დოკუმენტაციის სათანადო, ძირითადი პრინციპების გააზრება.**[11]

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ტვირთის აღწერას, რაც გულისხმობს ტვირთის, მათ შორის, მისი რაოდენობის, წონის, ზომების და ტრანსპორტირების განსაკუთრებული მოთხოვნების, ასევე გაზიდვის დოკუმენტების, მაგალითად, სასაქონლო ზედნადების, შეფუთვის ფურცლებისა და წარმოშობის სერტიფიკატების დეტალურ აღწერას.

11 “Types of Sanctions the EU Adopts.”

დანართი 1 - სასარგებლო რესურსები სანქცირებული კომპანიების ან პირების გამოსავლენად

ქვემოთ მოცემულია კომპანიებისთვის ხელმისაწვდომი რესურსები, რომლებიც მათ შეუძლიათ გამოიყენონ მაღალტექნოლოგიურ კონვენციურ იარაღთან დაკავშირებულ სანქციებთან მიმართებით. მოცემული მიმოხილვის ფარგლებში, შეგიძლიათ დააკვირდეთ კონკრეტული პირების და სუბიექტების შემოწმებას წარმოდგენილი რესურსების საშუალებით.

OFAC List of Specially Designated Nationals and Blocked Persons (SDN list) (უცხოური აქტივების კონტროლის ოფისის „სპეციალური სტატუსის მქონე მოქალაქეებისა და სანქცირებული პირების სია“) < უცხოური აქტივების კონტროლის ოფისი აქვეყნებს იმ ფიზიკური პირებისა და კომპანიების ჩამონათვალს, რომელსაც ფლობს ან აკონტროლებს სამიზნე ქვეყანა ან რომელიც ამ სამიზნე ქვეყნის სასარგებლოდ მოქმედებს. ვებგვერდის მისამართი: https://sanctions-search.ofac.treas.gov/

Bureau of Industry and Security (BIS) Entity List (მრეწველობისა და უსაფრთხოების ბიუროს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა სია) < ექსპორტის ადმინისტრაციის რეგულაციებში (EAR) მოცემულია სია, სადაც ჩამოთვლილია გარკვეული უცხოური იურიდიული პირები, მათ შორის კომპანიები, კვლევითი ინსტიტუტები, სამთავრობო და კერძო ორგანიზაციები, ფიზიკური პირები და სხვა ტიპის იურიდიული პირები, რომლებსაც კონკრეტული საქონლის ექსპორტის, რეექსპორტისა და/ან გადაზიდვისთვის (ქვეყნის შიგნით) სპეციალური ლიცენზია მოეთხოვებათ. ვებგვერდის მისამართი:
https://www.bis.doc.gov/index.php/documents/regulations-docs/2326-supplement-no-4-to-part-744-entity-list-4/file

Department of State, CAATSA Section 231(e) list (სახელმწიფო დეპარტამენტის ამერიკის მტრების წინააღმდეგ სანქციების საშუალებით ბრძოლის აქტის“ 231(e) პუნქტში წარმოდგენილი ჩამონათვალი) < სახელმწიფო დეპარტამენტი აწარმოებს იმ პირთა ჩამონათვალს, რომლებიც CAATSA აქტის 231-ე პუნქტის კონტექსტში, წარმოადგენენ რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავდაცვით ან დაზვერვის სექტორებს ან მოქმედებენ მათ სასარგებლოდ. ვებგვერდის მისამართი:
https://www.state.gov/caatsa-section-231d-defense-and-intelligence-sectors-of-the-government-of-the-russian-federation/

Office of Financial Sanctions Implementation (OFSI) of HM Treasury in the UK (დიდი ბრიტანეთის ფინანსური სანქციების აღსრულების ოფისი და ფინანსთა სამინისტრო) < დიდი ბრიტანეთის მთავრობა აქვეყნებს დიდი ბრიტანეთის სანქციების სიას, სადაც მოცემულია იმ სუბიექტების მონაცემები, რომლებზეც სანქციების აქტით დადგენილი რეგულაციები ვრცელდება. ვებგვერდის მისამართი: https://ofsistorage.blob.core.windows.net/publishlive/2022format/ConList.html

European Union (ევროკავშირი) < ევროკავშირი აწარმოებს სანქცირებული პირებისა და ორგანიზაციების სიას, რომელიც ევროსაბჭოს მიერ მუდმივ გადახედვას და პერიოდულ განახლებას ექვემდებარება. ვებგვერდის მისამართი: https://sanctionsmap.eu/#/main

Australian Department of Foreign Affairs and Trade (ავსტრალიის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის დეპარტამენტი) < ავსტრალიის მთავრობა აწარმოებს სანქცირებული პირებისა და კომპანიების ერთიან სიას. ვებგვერდის მისამართი: https://www.dfat.gov.au/international-relations/security/sanctions/consolidated-list

Japanese Ministry of Economy, Trade, and Industry (METI) (იაპონიის ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო) < იაპონიის მთავრობა გამოსცემს საბოლოო მომხმარებელთა სიას, რომელიც ექსპორტიორებს აწვდის ინფორმაციას სავარაუდოდ მასობრივი განადგურების იარაღთან და სხვა საქონელთან დაკავშირებულ საქმიანობაში გარეული სუბიექტების შესახებ. ვებგვერდი: https://www.meti.go.jp/english/press/2022/1104_002.html

Sanctions Explorer (სანქციების საძიებელი) <აერთიანებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ რესურსს. ვებგვერდის მისამართი: https://sanctionsexplorer.org/

გაერო < ერთიან სიაში შეყვანილია ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელზეც უშიშროების საბჭოს მიერ დადგენილი ზომები ვრცელდება. ყველა სახელის ერთიან სიაში შეტანა დადგენილი ზომების განხორციელების გამარტივებას ისახავს მიზნად და არ გულისხმობს, რომ ყველა მითითებული სახელი სანქციათა ერთ რეჟიმს ექვემდებარება ან სიაში კონკრეტული სახელების შეტანა ერთი და იმავე კრიტერიუმით ხდება. თითოეულ შემთხვევაში, როდესაც უშიშროების საბჭო გადაწყვეტილებას იღებს, რომ გარკვეული ზომები დააწესოს საფრთხის საპასუხოდ, სანქციების რეჟიმს მართავს უშიშროების საბჭოს კომიტეტი. შესაბამისად, გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ დადგენილი სანქციების თითოეული კომიტეტი აქვეყნებს ამ კომიტეტთან დაკავშირებულ სიაში შეყვანილ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა სახელებს, აგრეთვე ინფორმაციას თითოეული ჩამოთვლილი სახელის მიმართ გამოყენებული კონკრეტული ზომების შესახებ. ვებგვერდის მისამართი: https://main.un.org/securitycouncil/en/-content/un-sc-consolidated-list იგივე ბმული ხელმისაწვდომია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზეც www.justice.gov.ge

https://trade-integrity.org/ **<** ასევე სასარგებლო ინსტრუმენტია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობისთვის საერთაშორისო ვაჭრობაში. საჯარო და ინფორმატორის მიერ მოწოდებული მონაცემების გამოყენებით, CHPL აგრძელებს რუსეთთან მიახლოებას და უზრუნველყოფს გადამწყვეტი მნიშვნელობის დეტალურ ინფორმაციას, რომელიც კომპანიებს ეხმარება შეამოწმონ კლიენტები და თავიდან აიცილონ საქონლის გადამისამართება რუსეთის სამხედრო-ინდუსტრიულ კომპლექსში.

დანართი 2: „იცნობდე შენს კლიენტს“ და „იცნობდე შენი კლიენტის კლიენტს“ - საკონტროლო სია

KYC საკონტროლო სია	KYCC საკონტროლო სია
კლიენტის იდენტიფიკაცია ● შეაგროვეთ საიდენტიფიკაციო დოკუმენტები (მაგ., პასპორტი, პირადობის მოწმობა); ● შეამოწმეთ დოკუმენტების ავთენტურობა; ● მოიპოვეთ მისამართის დამადასტურებელი საბუთი.	**კლიენტის კლიენტის იდენტიფიკაცია** ● დაადგინეთ თქვენი კლიენტის მთავარი კლიენტები ან პარტნიორები; ● შეაგროვეთ და შეამოწმეთ ინფორმაცია თქვენი კლიენტის კლიენტების შესახებ. ● გაარკვიეთ, რა ტიპის ურთიერთობა აქვთ მათ თქვენს კლიენტთან.
კლიენტის კომპლექსური აუდიტი ● შეაფასეთ კლიენტის რისკის პროფილი; ● შეამოწმეთ სანქციების და სპეციალური კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტების სიის მიხედვით; ● მაღალი რისკის შემცველ კლიენტებს გაძლიერებული კომპლექსური აუდიტი ჩაუტარეთ.	**რისკის შეფასება** ● შეაფასეთ კლიენტის კლიენტებთან დაკავშირებული რისკი; ● განსაზღვრეთ რა დონის კომპლექსური აუდიტია საჭირო; ● მკაცრი მონიტორინგი დააწესეთ მაღალი რისკის შემცველ ურთიერთობებზე.
ბენეფიციარული საკუთრების შემოწმება ● დაადგინეთ და შეამოწმეთ ბენეფიციარული საკუთრების საბოლოო მფლობელები (UBO); ● გაარკვიეთ ორგანიზაციის საკუთრების და კონტროლის სტრუქტურა; ● ბენეფიციარული საკუთრების საბოლოო მფლობელები შეამოწმეთ სანქციების სიების მიხედვით.	**მონიტორინგი და შეტყობინება** ● თვალი ადევნეთ ტრანზაქციებსა და ურთიერთობებს, რომელშიც კლიენტის კლიენტები არიან ჩართული; ● შესაბამის ორგანოს შეატყობინეთ ნებისმიერი „წითელი დროშის“ ან უჩვეულო მოქმედებების შესახებ; ● დოკუმენტურად დაასაბუთეთ შედეგები და გატარებული ღონისძიებები.
უწყვეტი მონიტორინგი ● თვალი ადევნეთ, ტრანზაქციები უჩვეულო ან საეჭვო მოქმედებებს ხომ არ მოიცავს;	**შესაბამისობა და დოკუმენტაცია** ● უზრუნველყავით ყველა მოქმედი კანონისა და რეგულაციის დაცვა;

⬣ პერიოდულად განიხილეთ და განაახლეთ კლიენტთან დაკავშირებული ინფორმაცია; ⬣ საეჭვო მოქმედებების დაფიქსირების შემთხვევაში, შესაბამის ორგანოებს აცნობეთ.	⬣ აწარმოეთ დაწვრილებითი ჩანაწერები ყველა KYCC პროცესის შესახებ; ⬣ რეგულარულად განიხილეთ და განაახლეთ KYCC ინფორმაცია.
ჩანაწერების წარმოება ⬣ აწარმოეთ კლიენტის იდენტიფიკაციისა და შემოწმების ჩანაწერები; ⬣ დოკუმენტურად დაასაბუთეთ კომპლექსური აუდიტის პროცესები და მიღებული გადაწყვეტილებები; ⬣ ჩანაწერები აწარმოეთ რეგულაციებით დადგენილი პერიოდის განმავლობაში.	

ავტორები:
აკაკი საღირაშვილი, გიორგი გოგუაძე, ნიკოლოზ ყიფშიძე

კონტრიბუტორი:
ლევან დოლიძე